



საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქცია

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული და/ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, რომელიც უნდა შეასრულოს იუნკერმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლო სემესტრში და დაიცვას საკვალიფიკაციო კომისიის სხდომაზე;
2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს იუნკერის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს;
3. ნაშრომის მიზანია ცოდნის გაღრმავება, სისტემატიზაცია, ანალიზი და განზოგადება, სწავლის პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების განვითარება. კურსდამთავრებულებმა უნდა გამოამუშავონ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი დისციპლინების ცოდნა, კვლევის თანამედროვე მეთოდების, სტატისტიკური მასალების, ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარ-ჩვევები;
4. საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია სილაბუსში.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის თემა

1. საბაკალავრო ნაშრომის თემას იუნკერი ირჩევს ბაკალავრიატიის მიერ განსაზღვრული თემატიკის ფარგლებში, რის შემდეგაც მტკიცდება კონკრეტული თემა;
2. საბაკალავრო ნაშრომის თემას ამტკიცდებს ბაკალავრიატის საბჭო, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი;
3. საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლა ან სათაურში ცვლილებების შეტანა დასაშვებია საკვლევი თემის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში და ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება ბაკალავრიატის საბჭოზე.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი მტკიცდება ბაკალავრიატიის საბჭოზე, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი;
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს ბაკალავრიატის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი. შესაძლებელია ნაშრომის ხელმძღვანელად დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი;
3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბაკალავრიატის საბჭოს არგუმენტირებული

წარდგინების საფუძველზე, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით;

4. ხელმძღვანელი დახმარებას უწევს იუნკერს ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკის და ნაშრომის სტრუქტურის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებსა და აძლევს იუნკერს სათანადო რეკომენდაციებს.
5. ხელმძღვანელი ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას სილაბუსში მოცემული წესით.
6. ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ნაშრომის დასათაურება; ნაშრომის ავტორის ვინაობა; ნაშრომის მოკლე მიმოხილვა; ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით; ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების ხარისხის აღნიშვნა; ნაშრომის ზოგადი შეფასება; პირადი მოსაზრება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება-არ მინიჭების შესახებ.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში. შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად, რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში; დასკვნითი შეფასება მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვას, რომელიც ფასდება 40 ქულით. საჯარო დაცვა სავალდებულოა. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში.
2. დასკვნით გამოცდაზე დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაქსიმალური შესაძლო შეფასების 50%, ანუ 20 ქულა, შუალედურ შეფასებაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაქსიმალური შესაძლო შეფასების 30%, ანუ 18 ქულა;
3. საჯარო დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.
4. იუნკერი, რომელმაც საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (20 ქულა), მაგრამ შეაფასებათა კომპონენტების ერთობლიობით (შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება) უგროვდება 41 ქულა და ზევით, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.
5. იუნკერი, რომელმაც საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (20 ქულა), მაგრამ შეაფასებათა კომპონენტების ერთობლიობით (შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება) უგროვდება 41-დან 51 ქულამდე, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.

6. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:
- (A) ფრიადი - შეფასების 91 – 100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ეძლევა იმავე საბაკალავრო ნაშრომის კიდევ ერთხელ დაცვის უფლება შედეგების გამოცხადებიდან 5 დღის შემდეგ;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ იუნკერის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.
7. იუნკერი, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, დაშვებულია საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე. დაცვამდე ორი დღით ადრე საბაკალავრო ნაშრომი, ხელმძღვანელის დასკვნა და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (არქივირების მიზნით), უნდა ჩაბარდეს ბაკალავრიატს. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საკვალიფიკაციო კომისიაზე;
8. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს ბაკალავრიატი და დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აწვდის იუნკერებს ინფორმაციას დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ;
9. განსაკუთრებულ შემთხვევაში ბაკალავრიატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის გადავადების შესახებ.

მუხლი 5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის (საკვალიფიკაციო კომისიის) წინაშე, რომლის ფუნქციებია თანმიმდევრული და სამართლიანი შეფასების უზრუნველყოფა;
2. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ბაკალავრიატის საბჭოზე, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი;
3. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა შეირჩევა აკადემიური პერსონალიდან. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გარეშე სპეციალისტების მოწვევაც, როგორც მუდმივ შემადგენლობაში, ისე ერთჯერადად;
4. საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარეობს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი. კომისიის წევრებს შორის ერთ-ერთს ეკისრება კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობა და მტკიცდება კომისიის წევრებთან ერთად; კომისიის სხდომების ოქმებს აწარმოებს პასუხისმგებელი მდივანი;
5. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 15 საბაკალავრო ნაშრომზე მეტის დაცვა; დღის განმავლობაში დასაშვებია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება;

6. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;
7. დაცვის პროცედურის დოკუმენტაციის (სხდომის ოქმი, უწყისები) წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

მუხლი 6. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ იუნკერი იწყებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას;
2. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
 - საბაკალავრო ნაშრომის წარდგენას (მაქსიმუმ 10 წუთი);
 - კითხვა-პასუხს.
3. დაცვის პროცედურა გულისხმობს აგრეთვე, საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას, რომლის დროსაც სხდომა დამსწრეთათვის იხურება;
4. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს;
5. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას და ხორციელდება ამ დოკუმენტის მე-4 მუხლის შესაბამისად.
6. იუნკერის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვის/დამატებითი დაცვაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, იუნკერმა ბაკალავრიატის ხელმძღვანელს უნდა მიმართოს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება გაცდენის მიზეზი. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, იუნკერი გამოცდაზე დაიშვება დაცვის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში ბაკალავრიატის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

1. დამატებითი გამოცდა ინიშნება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
2. იუნკერი, რომელიც არ გამოცხადდება დამატებით დაცვაზე, შეფასდება 0 ქულით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უწყდება იუნკერის სტატუსი;
3. იუნკერს, რომელმაც ვერ დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით.
4. დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ბაკალავრიატია ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომი გადასცეს არქივს.

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის მინიმუმ 20 გვერდი, შრიფტი – "სილფაენი", ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14-16, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.;

2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა:

- თავფურცელი - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი;
- ანოტაცია - უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას (ერთი გვერდის მოცულობით);
- სარჩევი - მიუთითებს ნაშრომში თავებისა და ქვეთავების განთავსების გვერდს;
- შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილი, აისახავს ნაშრომის თემის აქტუალობის დასაბუთებას, მიზნებსა და დასმულ ამოცანას, საკვლევ საგანს და გამოყენებულ მეთოდებს (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);
- ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. ყველა თავისა და პარაგრაფის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო პარაგრაფი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;
- სქოლიო: – ტექსტში წყაროს შესახებ მინიშნება კეთდება სქოლიოს საშუალებით.

იმ წინადადების ბოლოს, რომელშიც მისათითებელია წყარო, ისმება ზედა ინდექსი. სქოლიო განთავსებულია გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა: 10 პუნქტი. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან ან გაგრძელდეს თანმიმდევრული ნუმერაციით; სქოლიოში ასევე შესაძლებელია ავტორის მიერ მიეთითოს რაიმე ტერმინის დაზუსტება, შენიშვნა ან მცირე განმარტება.

- დასკვნა - ასახავს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:
 - პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; ნაშრომის სახელწოდება; სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი); ტომის ნომერი; გამოცემის ნომერი; გამომცემლობა; წელი; გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი.
 - წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; სახელწოდება; გამოცემის ადგილი; გამომცემლობა; გამოცემის წელი;
 - ინტერნეტ-რესურსის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორი; მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით; ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი.
 - ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები); წელი; სტატიის დასახელება; ელექტრონული გამოცემის

დასახელება (დახრილი შრიფტი); ამოცემის ნომერი; თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში); ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი.

- სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: დოკუმენტის დასახელება (შეთანხმება, კანონი, ხელშეკრულება ...) შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით; უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი; გამოცემის დასახელება და წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი.

3. ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- თავფურცელი;
- ანოტაცია;
- სარჩევი;
- შესავალი;
- თავები;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა;
- დანართები (ცხრილები, სქემები, საილუსტრაციო მასალა და ა.შ.).

მუხლი 9. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

1. ბაკალავრიატისა საფეხურზე სალექციო კურსის შეფასების ფარგლებში შექმნილ წერით დავალებაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი/სამხედრო ინსტრუქტორი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით გააუქმოს ნაწერი შეფასების გარეშე და ამის შესახებ აცნობოს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს.

2. საბაკალავრო ნაშრომში არსებული პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი პირი ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს.

3. აკადემიური პერსონალის მხრიდან ნაშრომში კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი 3 დღის ვადაში მიმართავს რექტორს.

4. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის მიერ საბაკალავრო ნაშრომების თანხვედრის დაფიქსირების შემთხვევაში, თემის ხელმძღვანელი ახდენს შემოწმებას და ამზადებს ანგარიშს ნაშრომში პლაგიატის შესახებ. თუ ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, ამის შესახებ ხელმძღვანელი აკეთებს ჩანაწერს თავის დასკვნაში. თუ თემის ხელმძღვანელის მიერ დადასტურდება პლაგიატის არსებობა ან არსებობის ვარაუდი, საკითხის განხილვა მოხდება სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის შესაბამისად.

5. საბაკალავრო ნაშრომზე, თემის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დასკვნა და ანგარიში, იუნკერის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, წარედგინება რეცენზენტებს, ექსპერტებს და დაცვის კომისიას.

6. თუ თემის ხელმძღვანელის ანგარიში ადასტურებს პლაგიატს, ავტორს უფლება აქვს გაითხოვოს ნაშრომი გადასამუშავებლად. გამოთხოვილი ნაშრომის გადამუშავებული

ვარიანტის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ სემესტრში. ნაშრომის გათხოვა არ გამორიცხავს დისციპლინური ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 10. პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი სანქცია საბაკალავრო ნაშრომისთვის

1. საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შემთხვევის დროს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით განცხადებასა და თანდართულ მასალებს გადასცემს შესაბამისი კომპეტენციის პირს, რომელიც შეისწავლის ნაშრომს და 10 დღის ვადაში წარმოადგენს შესაბამის დასკვნას. დასკვნა განიხილება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სააპელაციო კომისიაზე, რომელზეც ასევე მოწვეულია ნაშრომის ავტორი თავისი პოზიციის წარმოსადგენად. პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სააპელაციო კომისია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით უქმდება ნაშრომი და ოქმი დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის გადაეგზავნება რექტორს.
3. რექტორის ბრძანებით დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ გამოყენებული იქნება აკადემიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სანქცია.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.